# ერი

№ 42

წელიწადი პირველი 1913

ყოველდღიური გაზეთი

ფასი:

წლიურათ . . . . . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . . . . . 4 აბაზი

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

შაბათი, 21 დეკემ.

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ЕРИ“
Ивановская, д. Чиладзе.

ტელეფონი № 149.



ქავქაზე დამყარებული ამხანაგობა

10—21 დეკემბრამდი 1913 წ.

ს. მ. პირაპოზოვი და ზ. გ. ოზანოვი

ნიშნავს საშობაო იაფ ვაჭრობას

მაღაზია ღია იქნება 9—1 საათ. და 3—7 საათამდი.



ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ე რ ი“

ხელის მოწერა მიიღება 1914 წლისთვის

გაზეთში ახლო მონაწილეობას მიიღებენ ჩვენში ცნობილი პუბლიცისტები, ბელეტრისტები და კრიტიკოსები.

**გაზეთის ფასი:**

| | |
|---|---|
| ერთი წლით . . . | 7 მანეთი. |
| ნახევარი წლით . . . | 4 მანეთი. |
| ერთი თვით . . . | 4 აბაზი. |
| და ცალკე ნუმრის . . . | 1 შაური. |

გაზეთის წლიური დასაკვეთი ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 14 მ., ½ წ.—8 მ., თვიურათ 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთი ეთმობათ წლიურათ 5 მ., ნახევარ წლით 3 მანეთად და თვიურათ 3 აბაზათ.

მისამართი რედაქციისა და კანტორისა: Кутаисъ, редакція газ. „ЕРИ“ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს დასაკვეთი ფულიც და სხვ. ივანოვის ქუჩა.





„რ ა დ ი უ მ ი“

ხუთშაბათიდან, 19 დეკემბ. აჩვენებს საუცხოო სურათს,

მწერალი ქალის ვერბიცკაიას რომანიდან გადმოკეთებულს.

**ბედის გასაღები.**

**2-ე და უკანასკნელი ნაწილი 6 განყოფილებათ.**

რადგან სურათის შეძენა ძალიან ძვირათ დაჯდა, ამიტომ დირექცია იძულებული შეიქნა ფასები მოემატებინა.

ა დ გ ი ლ ე ბ ი ს ფ ა ს ი:

ადგილი ლოჟაში—4 აბაზი; 1 რიგი—3 აბაზი, 2 რიგი—2 აბაზი, 3 რიგი 6 შაური.

ბილეთები სეანსებით იყიდება, ადგილების რაოდენობა განსაზღვრულია. დაახლოებით სეანსების დასაწყისი: 1—5 საათზე. 2—6 საათ. 45 წ. 3—8½ ს. 4—10 საათსა და 15 წუთზე. უფასო კონტრამარკებით არავის უშვებენ, მოსამსახურე პირთ გარდა.


ლეჩხუმის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავადი იასონ დავითის ძე გელოვანი ულრმესი მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ქუთაისში ხანმოკლე ავათმყოფობას შემდეგ უდროოთ გარდაიცვალა მისი მეუღლე კნეინა

**ელისაბედ პავლეს ასული გელოვანისა.**

პანაშვიდები ყოველდღე, საღამოს 5 საათზე, (სომხის ქუჩა, საკუთარი სახლი); მიცვალებულს ბინიდან გამოასვენებენ კვირას, დილის ცხრა საათზე. კათოლიკეთა ეკლესიაზე და წირვის შემდეგ დაკრძალვა მოხდება საფიჩხიის სასაფ. ცალკე მოსაწვევი ბარათები არ დარიგდება.

ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ ქუთაისში გარდაიცვალა კნეინა

**ელისაბედ პავლეს ასული გელოვანისა,**

რასაც ნათესავთა და ნაცნობთ მწუხარებით აუწყებენ ძმა განსვენებულისა პოდპოლკოვნიკი მიხეილ პავლეს ძე გარდამოვი და და მარიამ პავლეს ასული ბობიდოვისა შვილებითურთ პანაშვიდები. ყოველდღე, საღამოს 5 საათზე (სომხის ქუჩა საკუთარ სახლი) მიცვალებულს ბინიდან გამოასვენებენ კვირას, დილით ცხრა საათზე. კათოლიკეთა ეკლესიაზე და წირვის შემდეგ დაკრძალვა მოხდება საფიჩხიის სასაფლაოზე. ცალკე მოსაწვევი ბარათები არ დარიგდება.

შეწუხებული ჭირისუფლები აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობსა და მეგობრებს, რომ ტანჯულათ გარდაცვლილი ტეხნიკოსის

**დავით პეტრეს ძის წულეისკირის**

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი დანიშნულია კვირას, 22 დეკემბერს, მთავარანგელოზის ეკლესიაში.

ქვრივი უდროოთ გარდაცვალებულის

**გრიგოლ იოსების ძის კვიტაშვილისა,**

ევდოკია ვასილის ასული შვილებით და ძმა ალექსანდრე იოსების ძე კვიტაშვილი, ულრმეს მადლობას სწირვენ ყველა იმ პირთ, ვინც წერილობით თუ პირადათ თანაგრძნობა გამოუცხადეს მათ და გაინაწილეს მათი მწუხარება.


**ალ. ჭიჭინაძისაგან** შედგენილი წიგნები:

1. „მცენარეები და ცხოველები ცხელი ქვეყნისა“ და 2. „პირველდაწყებითი ცოდნა გეოგრაფიისა—

სამოსწავლო ოლქის მზრუნველისაგან ნებ დართულია მოსწავლეებისა და მასწავლებლების ბიბლიოთეკებისათვის.

წიგნები იყიდება თ. მთავრიშვილისა და ამხ. მაღაზიაში.


**კომერციული ცოდნის**

გამავრცელებელი საზოგადოების დამფუძნებელნი იწვევენ საზოგადოების წევრებს, დაესწრონ პირველ

**საერთო კრებას,**

21 დეკემბრს, საღამოს 7 საათზე ქუთაისის საურთიერთო ბანკის გამგეობაში. განსახილველია:

1) საზოგადოების ნამდვილ წევრთა არჩევა, 2) არჩევა თავმჯდომარისა, თავმჯდომარის ამხანაგისა და კომიტეტის 7 წევრისა. 3) სარევიზიო კომისიის 3 წევრისა და მათი კანდიდატების არჩევა.


ქ უ თ ა ი ს ი.

**თ. მთავრიშვილის და ამხ.**

წიგნისა და საკანცელარიო ნივთების მაღაზიაში

იყიდება ყოველგვარი სახელმძღვანელო ქართულსა და რუსულ ენაზე შედგენილი. მაღაზიას მუდმივ მოსდის ახალ-ახალი რუსული და ქართული წიგნები, როგორც რუსეთის ცნობილი ფირმებიდან, ისე საქართველოს ყოველი ქალაქიდან—დაბეჭდვისთანავე.

პროვინციის მოთხოვნილებას მაღაზია დაუყოვნებლივ აკმაყოფილებს.

მაღაზია ღებულობს ხელის მოწერას ყველა რუსულსა და ქართულ ჟურნალ-გაზეთზე.


## დღევანდელი კრების გამო.

ოდესმე კულტურულათ მაღალი და ვაჭრობა-მრეწველობით აყვავებული საქართველო წარსულ საუკუნეებში დიდებული სიძველის ნაშთად გადაიქცა. დადგა ხანა პოლიტიკური უძლურებისა, რომელსაც თან მოყვა გონებრივი სიჩლუნგე და ქონებრივი სილატაკე; ერთი სიტყვით დაქვეითდა დიდებული ქვეყანა ისტორიულათ ცნობილი და კაცობრიობის საერთო მოძრაობაში მონაწილე. საბედნიეროთ გაიარა ბნელმა ხანამ, მოელო ბოლო ზოგიერთს შემაფერხებელ პირობას და წაიშალა ბარბაროსთა გავლენით აღბეჭდილი კვალი. იწყება ხანა გაღვიძებისა, გამოფხიზლებისა და კულტურული აღორძინებისა; ირკვევა ეროვნული თვითცნობიერება და დღითიდღე მატულობს შეგნება ბნელი წარსულისა, მავნებელი აწმყოსი და ამით თანდათან ისახება იდეალი ბრწყინვალე მომავლისა. დიდიხნის ძილს შემდეგ ირკვევა ბურანში გახვეული ქართველი ერი, იგებს თავისი არსებობის პირობებს და ემზადება ნაბიჯ-ნაბიჯ წაიწიოს წინ, ცდილობს აამოძრაოს მიმალული ძალები და შექმნას ისეთი საზოგადოებრივი ატმოსფერა, რომელშიც იმოქმედებს ყოველი კერძო პირი და განხორციელდებიან საუკეთესო ეროვნული მისწრაფებანი.

ვინც დაუკვირდება ჩვენი საზოგადო ცხოვრების მიმდინარეობას, ადვილათ შეამჩნევს, რომ დღეს სწრაფათ ვითარდება ჩვენში მოღვაწეობის უნარი. დიდ სინანულს ეძლევა ჩვენი ერის მოწინავე ნაწილი და მხურვალეთ გლოვს დაკარგულ დროს; დიდი გოდებაა ჩვენი უკან ჩამორჩენის გამო და ეს შეგნებული გოდება და გულწრფელი სინანული აიძულებს ადამიანს მომავლისკენ უფრო საიმედო გზით წავიდეს. მართალია, ახლაც ბევრია და აწიც იქნება ისეთი პირობები, რომელიც ჩვენ წინსვლას ხელს შეუშლის, მაგრამ არსებითი განსხვავება ისაა, რომ აწ უფრო მედგრათ და გარკვევით ვებრძვით ამ პირობებს და ასეთი ბრძოლა ხომ გამარჯვების დასაწყისია და ნახევრათ მისი კეთილათ დაგვირგვინების იმედიც.

საიმედო ნიშნები თანდათან მატულობს.

დიდი მისწრაფებაა დღეს სწავლა-განათლებისკენ. არ არის წრე და არ მოიპოვება ისეთი კუთხე, რომ სწავლის საჭიროებას არა გრძნობდეს. გასაცვიფრებელია ასეთი საერთო წყურვილი სწავლა-განათლებისა. მიუხედავათ თანამედროვე შკოლის უვარგისობისა და სწავლის მიღების სიძნელისა o/o წერა-კითხვის მცოდნისა იზდება და ნასწავლთა რიცხვი ძალზე მატულობს. დიდი მწუხარებითა და გულისტკივილით აღვნიშნავთ ჩვენი დიდებული ქვეყნის მეურნეობის დაქვეითებას და დიდი სურვილიცაა მეურნეობა კვლავ აღორძინდეს და აყვავდეს. ასეთი საზოგადო მისწრაფება, ეჭვი არ არის, ნაყოფიერ შედეგს გამოიღებს. დიდი მწუხარებით ვითვალისწინებთ ჩვენში ვაჭრობა-მრეწველობის შესუსტებას. ჩვენი ქვეყნის დიდება და ეროვნული სიძლიერე ბევრათ დამოკიდებულია ჩვენს ნივთიერ მდგომარეობაზე და ამიტომ ვაჭრობა-მრეწველობის გაძლიერება ჩვენში ძირითადათ დაკავშირებულია ჩვენს ყოველ მხრივ სიძლიერესთან. დღეს საკმაოთ შეიგნო ჩვენმა ერმა ვაჭრობა-მრეწველობის აუცილებლობა და თუ დღემდი ცოტა იმუშავა ამ ნიადაგზე, დღეს კი ყოველმხრივ ეცდება ეს შეცთომა გაასწოროს და ეს დარგი გააძლიეროს, ვინაიდან **ნაკლულევანების შეგნება გასწორების დასაწყისია**. ეს ერთი საუკეთესო საბუთია ერის გამოღვიძებისა და მისი კულტურული აღორძინების დასაწყისისა. აი, სწორეთ ამ შეგნების ნიადაგზე აღმოცენდა სურვილი, რომ აქ დაარსებულიყო ისეთი წრე, რომელსაც განსაკუთრებულ მიზნათ დაესახა კომერციული ცოდნის გავრცელება ხალხში. ასეთი საზოგადოება დაარსდა და ეს საზოგადოება დღეს ქმნის თავისი მომავალი კულტურული მოღვაწეობის მთელ პროგრამას. ამ დიდებული მიზნისაკენ მიმართულ პროგრამაში საპატიო ადგილი უჭირავს ერთ საშვალებას, რომელიც რეალურათ გამოიხატება კომერციული სასწავლებლის დაარსებაში იმერეთის დედა ქალაქს ქუთაისში.

დიდი საჭირო იყო ეს სასწავლებელი და დიდიხნის წინ უნდა დაარსებულიყო იგი ქუთაისში, მაგრამ განა ცოტა საჭირო და აუცილებელი რამ გვაკლია? კომერციული სასწავლებლის საჭიროებას დიდიხნიდან ვგრძნობთ და ეს საკითხი კარგა ხანია კიდევაც დამწიფდა და გადამწიფდა, მაგრამ, რა ვქნათ, როცა ერთი მეორეზე უფრო სასარგებლო და არსებით საჭიროებათა უქონლობით სულსა ვღაფავთ! ჩვენდა სასიამოვნოთა და საკეთილდღეოთ ახლა ეს საკითხი გადაწყვეტილია, და თუ ახალმა საზოგადო-

ებამ ფეხი გაიმაგრა მალე, სულ მალე ქუთაისს დაამშვენებს ერთი ახალი დაწესებულება, რომელიც მოფენს ჩვენს ქვეყანას თფილ სხივებს და აამოძრავებს დღეს მიმალულ ძალებს.

ეს სასწავლებელი მოგვცემს კომერციული ცოდნით აღჭურვილ პირებს, რომელნიც შესძლებენ ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრე გამოაჩინონ და ჩვენი ქვეყნის ნივთიერი მდგომარეობა გააუმჯობესონ. ვაჭრობა-მრეწველობა ჩვენში კიდევ ძველი მამა-პაპური სახით სწარმოებს: უანგარიშობა, შეუგნებლობა, მუშტრის უცნობლობა, სხკუთარი ქონების ღირებულობის უცოდინარობა, საერთო ბირჟაზე ვაჭრული მოძრაობის გაუგებრობა და სხვა ასეთები, რა თქმა უნდა, ძლიერ აფერხებს ჩვენში აღებმიმცემობას და ამის გამო ჩვენი წარმოება ძლიერ ვიწრო ფარგალში ტრიალობს. აი, ეს ნაკლი ჩვენი ვაჭრობისა უნდა გაასწოროს ნამდვილი კომერციული ცოდნით აღჭურვილმა ვაჭრებმა და მით დააყენონ ვაჭრობა სწორსა და უტყუარ გზაზე.

სწორეთ სასურველ დროს არსდება ჩვენში კომერციული სასწავლებელი. ეს სასწავლებელი უებარ წამლათ ედება ჩვენს დამწიფებულ საჭიროებას და გააცოცხლებს ადგილობრივ ვაჭრობას. დიდათ საყურადღებოა ეს საქმე და სიამოვნებით ასანიშნავი ეს ძვირფასი მომენტი. ეს კულტურული ინიციატივა საიმედო ნაბიჯია მრეწველობის განვითარებისა და ვუსურვოთ ახალ საზოგადოებას წარმატება და დასახული მიზნის განხორციელების უნარი; ნიშნათ თანაგრძნობისა და სრული სოლიდარობისა მივეშველოთ დღეს და წევრათ ჩავეწეროთ ამ სასარგებლო საზოგადოებაში, რომ ჩვენი წვლილი შევიტანოთ ამ საერთო, საქვეყნო საქმეში, რომელიც ძვირფას მომავალს უქადის ჩვენს ქვეყანას.

ბევრი სასარგებლო დაწესებულებაა ჩვენში, ბევრი საზოგადოებაა და მათ რიცხვს ესეც მიემატება, რომ მათთან ერთად იშრომოს და ხელი შეუწყოს ჩვენი ერის კულტურულ წინმსვლელობას. დე, ესეც კიდევ ერთი ნიშანი იყოს ერის გამოცოცხლებისა და მისი აღორძინების ხანისა...

ტრიფონ ჯაფარიძე.

## „ვანდალიზმი“.

ჭეშმარიტი „ვანდალიზმი“ იმაში მდგომარეობს, როცა ყოველი კულტურული ძალისა და საზოგადოებრივი ღირებულობის ფეხქვეშ გათელვას ცდილობ.

სამწუხაროთ, ჩვენმა დასელებმა ეს ანტისაზოგადოებრივი მანერა საუცხოოთ შეითვისეს.

საკმარისია, სხვა რომ არა ვსთქვათ, ისიც, რომ გიჟათ ქცეული ფილიპე მახარაძის დირიჟორობით ილია ჭავჭავაძის გვამიც კი არ დააყენეს საფლავში და საჯაროთ გაშოლტეს თავისს უმზგავსო „პროტესტებში“. ამ გზას იგინი სისტემატიურათ მისდევენ და დღეს თავისი „ვანდალიზმის“ მიზნათ ამოუღიათ გიორგი ზდანოვიჩი, ეს ერთი უდიდესი კულტურული ძალა ჩვენს საზოგადოებაში, ერთი უპირველესი საზოგადო მოღვაწე, რომლის მზგავსიც ილიას შემდეგ ჩვენ არა გვყოლია და რომელიც ყოველი, ჩვენზე ბევრათ უფრო კულტურულათ წინწასული, ერისთვისაც თავმოსაწონებელი იქნებოდა ყოველთვის. ჩვეულებრივი ოინბაზობით, სიტყვების გადამახინჯებით, მალაყზე გადახტომით, ტალახიანი ხელით ეხებიან პირადობას, რომელსაც ყოველ ქვეყანაში პატივისცემა ექნებოდა ყოველ მემარცხენესა და მემარჯვენე პარტიისგანაც კი, სადაც მემარცხენეობა და მემარჯვენეობა არ ნიშნავს გონიერების გარეშე დგომას და იქ მემარცხენე და მემარჯვენეობის თამაშს.

გუშინდელ „სიტყვის“ ნუმერში ვილაც არამკითხე მუშების „დამცველი“ გამობძანებულა და რასაკვირველია, გ. ზდანოვიჩის საზოგადოებრივ მიმართულებას შეეხებს. „აღსანიშნავია ის, რომ მუშების მოთხოვნილების წინააღმდეგ მხოლოდ ბ. ზდანოვიჩმა გაილაშქრა. ის პირველი აღმოჩნდა კრებაზე, რომელსაც არ ესიამოვნა ამ მოთხოვნილებათა მოგონება და ჩვეულებრივი მჭერმეტყველობა იხმარა კაპიტალისტების დასაცავათ და მუშების დასაწიხლავათო“, ბძანებს მუშების „დამცველი“, მთელი წერილი ამ ბრალდებაზეა აგებული და მთელი წერილი მისივე საძირკვლით ყალბია და დამპალი.

ბ. ზდანოვიჩი მუშების მოთხოვნილების წინააღმდეგ არ წასულა, ბ. ზდანოვიჩმა მოახსენა მუშების უტაკტო „დამცველს“, რომ სასაცილოა მობძანდეთ მრეწველების კრებაში და წინადადება მისცეთ უარი სთქვით თქვენ პრივილეგიებზე, ეგ მიზანს ვერ მიაწევს. მრეწველებზე უნდა იმსჯელო კანონმდებლობის საშვალებით, ან სხვა გზით, თვარა თხოვნითა და განცხადებებით არას დაგითმობენო.

არის რამე აქ ისეთი, რომლის შესახებაც შეუძლია კრიტი დასძრას რომელიმე დასელმა.

ზდანოვიჩი ამბობდა საავათმყოფოს მუშების კასისთვის გადადების შესახებ. რომ ეგ მოსახერხებელია, თუ კი მუშები თვით მოინდომებენ კასის საშვალებით შეინახონ საავათმყოფო. მაგრამ მუშების დამცველს ხომ მაგის თქმა არ უნდოდა. მას უნდოდა ეთქვა, რომ მარგანეცის მრეწველებმა გადსცეს საავათმყოფო და მისი ხარჯიც იკისროსო. ამგვარ წინადადებას კი მრეწველებს ვერც ბ. ნა-ძე მიაღებიებს, თუმც ის „ყოვლის შემძლებია“ არათუ ბ. ზდანოვიჩი. და ამგვარი წინადადების შემოტანა ბ. ზდანოვიჩმა მიიჩნია, როგორც დამონსტრაცია და არა, როგორც რაიმე საფუძვლიანი საქმიანობა.

გარდა ამისა ხშირათ დასელ დემაგოგებთ მუშების „დამცველათ“ მოაქვთ თავი, მაგრამ არსებითად კი იგინი ვერაფერს ვერ იცავენ. არც მუშების ინტერესებს უწევენ ანგარიშს, არამედ პირადი კაპრიზისა და პირადი ჟინიანობის საბაბათ ხდიან მუშათა ინტერესს.

ფინანსიურმა კომისიამ, რომელიც მთელის კრების $1/4$ შეადგენს, მოიწვია ჭიათურისა და ფოთის მუშათა წარმომადგენელნი და ორთავემ სრული ღირსეულებით, დინჯათ, მშვენიერათ და სასიამოვნოთ აღნიშნეს თავისი მოთხოვნილება. უმეტესი ნაწილი ფინანსიურმა კომისიამ მიიღო. ზოგიერთებზე უარი უთხრა. არცერთ მათგანს არ წამოუყენებია საგანი საავათმყოფოს მუშებისთვის გადაცემის შესახებ. არც კასის მონაწილე მრეწველებისათვის სავალდებულოთ არ უცვნია ის, რაც მეორე დღეს კრებაზე მუშათა „დამცველმა“ წარმოადგინა. აქიდან ცხადია, რომ მუშები ბევრათ უფრო ბრძენი და გონიერია, ვიდრე მათ ზურგზე მალაყების აღმსრულებელი „დასელები“. ბ. გ. ზდანოვიჩი ამხედრდა მხოლოდ მუშების წინააღმდეგო. ბ. გ. ზდანოვიჩი მთელი ოცი დღეა მარტო ლაპარაკობს და ლაპარაკობს არა თავისი სახელით, არამედ საბჭოსა და ფინანსიური კომისიის სახელით და მინდობილობით. თუ სხვამ ხმა არ ამოიღო იმიტომ კი არა, რომ ბ. ზდანოვიჩს არ ეთანხმებოდა, იმიტომ, რომ იმისთანა განდიდების ქავილი არა აქვთ ატეხილი, როგორც ჩვენ „ყარაჩოღელ“ ძმა ბიჭებს და მიაჩნიათ სრულიად უსარგებლოთ ბ. ზდანოვიჩის, ერთი საუკეთესო ორატორის, საქმის მცოდინსა და გონიერ მომხსენებელს შემდეგ, გაიმეორონ იგივე უფრო დაზრდილულათ — ეს ხომ იქნებოდა მშვენიერი წიგნის გამოცემის ცუდათ გამეორება, ამისთანა როლი კი არ უნდა იკისროს არც საბჭოს წევრებმა, რომელთაც თვით იმავე ზდანოვიჩის წყალობით საკმაო აღზდა აქვთ მიღებული საზოგადოებრივი საქმიანობისა.

თუ ბ. ზდანოვიჩი მუშების ინტერესის წინააღმდეგი იყოს, მერწმუნეთ, მუშების მდგომარეობა იმავე წერტილზე იქნებოდა რა წერტილზედაც „კულტურულ“ ფოთში. მართალია, ბ. ზდანოვიჩის სურვილები სავსებით არ არის შესრულებული ამ სფეროში და სწორეთ იმ კაპიტალისტების წყალობით, რომელთა ბრძოლასთან შეალია ბ. ზდანოვიჩმა თავისი საოცარი ენერგია და ძალა, ბოლოს თავისი გაიტანა და სულ ახლო მომავალში, იმედია, სავსებით ასრულებდა მისი წადილი ამ სფერაში.

თუ ბ. ზდანოვიჩი მშრომელი ხალხის წინააღმდეგი იყოს, თუ ბ. ზდანოვიჩის მეთაურობით უმეტესი ნაწილი მრეწველებისა არ მოქმედობდეს, ჭიათურის გაფიცვებიც ისე „ბრწყინვალეთ“ ჩაივლიდა, როგორც ჩაიარა სხვა ადგილებზე გაფიცვებმა და იქაც ასე ადვილათ აღსრულდებოდა ამგვარი გაფიცვები, როგორც თქვენ საყვარელ გერმანიაში, რომლის ამომრჩეველთა დიდი ძალი ესდეკების ხელშია, მაგრამ ბიულოვისთვის გაფიცვაც კი ვერ გაუბედავთ.

თვით ჭიათურის მუშებს დაეკითხეთ, როგორ იქცეოდა ბ. ზდანოვიჩი ამ გაფიცვების დროს როგორც მტერი მათი, თუ როგორც მოყვარე.

ყველა ეს თქვენ კარგათ იცით, მაგრამ „ვანდალიზმი“ ძვალ-რბილში გაქვთ გამჯდარი და ეს „ვანდალიზმი“ ღუპავს მუშათა საქმესაც, და აფერხებს სანამდის ისინი არ მოიშორებენ თავიდან ამგვარ „დამცველებს“ Sapiento Sat.

არა მრეწველი.

## ახალი ამბავი.

19 დეკემბრის კრებაზე ქალაქის საბჭომ დაასრულა 1914 წლის სავარაუდო შემოსავალ-გასავლის პროექტის განხილვა. საბჭოს შემდეგი სხდომა ორშაბათს, 23 დეკემბერს, მოხდება. ამ სხდომაზე სხვათა შორის, განხილული იქნება მეფის მოადგილის მოწერილობა შესახებ იმისა, რო მომავალი წლის 1 იანვრიდან გადიდებული იქნეს პოლიცელთა შტატი. შტატს უნდა მოემატოს 36 უმცროსი და 2 უფროსი პოლიციელი. პირველთ მიეცემა 20 მანეთი თვეში, ხოლო უკანასკნელთ 25 მანეთი. ამის გამო 1 იანვრიდანვე თვითმართველობას საპოლიციო დარაჯები აღარ ეყოლება.

✦ გუშინ ღამით გაჩხრიკეს და დააპატიმრეს გაზეთი „სიტყვის“ რედაქტორი ვ. აბდალაძე.

✦ 19 დეკემბერს შავიქვის მრეწველთა კრებამ მიიღო ფინანსიური კომისიის წინადადება ფოთისა და ბათომის მუშების მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ 7 ათასი მანეთის გადადების შესახებ.

✦ ოლქის სასამართლოს სხდომები მომავალი დღესასწაულებისა გამო 22 დეკემბრიდან მომავალი წლის 7 იანვრამდი იქნება შეწყვეტილი.

✦ 1914 წელს შავიქვის მრეწველთა საბჭო სტიპენდიებისა და ერთდროული დახმარების სახით ოცი ათას მანეთს დახარჯავს.

✦ 19 დეკემბერს შავიქვის მრეწველთა კრებამ დაამტკიცა ფინანსიური კომისიის გადაწყვეტილება ჭიათურაში, ბაზრის ქუჩაზე სამკითხველოს გასახსნელათ 500 მანეთის გადადების შესახებ.

✦ 17 დეკემბერს ს. შუქრუთში ჟანდარმებმა ადგილობრივი პოლიციის თანდასწრებით გაჩხრიკეს ადგილობრივი შკოლის მასწავლებლები. წაიღეს ხელთნაწერები და წერილები.

✦ გუშინ ქუთაისის სასწავლებელში თითქმის ყველგან დაითხოვეს სადღესასწაულოთ უმცროსი განყოფილებისა და კლასების მოწაფენი. დღეიდან ყველგან შესწყდება მეცადინობა.

✦ ჭიათურის დრამატიულ საზოგადოებას 1914 წელს შავიქვის მრეწველთა საბჭოსაგან დახმარებათ მიეცემა 4500 მანეთი, სახალხო უნივერსიტეტსაც 2200 მანეთი.

✦ გუბერნატორმა ქალაქის სხვადასხვა დაწესებულებაში ქუთაისის საქველმოქმედო საზოგადოების ფურცლები დაარიგა ამ საზოგადოების სასარგებლოთ შემოწირულობათა შესაკრეფათ.

✦ ჭიათურის შავიქვის მრეწველთა კრებამ დაამტკიცა ფინანსიური კომისიის დადგენილება, რომ შუქრუთის პირველდაწყებითი სასწავლებლის სამ მასწავლებელს წლიურათ 25 მანეთი მოემატოს.

✦ ამჟამათ ქუთაისის ბაზარზე გარშემო სოფლებიდან აუარებელი სანოვაგეა შემოსული, ხოლო ყველაფერი მაინც ძალიან ძვირობს.

✦ თფილისში არსდება ახალი საზოგადოება ამიერ კავკასიის რკინს გზებზე მოსამსახურეებისა. საზოგადოებას მიზნათ აქვს, თფილისის გუბერნიაში სარკინისგზო ახლოშენი შეიძინოს და თვის წევრთათვის სახლები ააშენოს. საზოგადოების წესდება უკვე წარედგინა გუბერნატორს დასამტკიცებლათ.

## ჭიათურის შავიქვის მრეწ. კრება

19 დეკემბრის სხდომა.

მდივანი წინა დღის კრების ოქმს კითხულობს. წაიკითხეს რკინის გზის საქმეთა უფროსის დეპეშა ბეს წარდგენის შესახებ. კრება აცალებს საბჭოს თავჯდომარეს კრების სახელით ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს ოცი წლის მოღვაწეობის იუბილე მოულოცოს. მსჯელობენ საბჭოს შტატის შესახებ.

გ. ზდანოვიჩი: საბჭოს შტატის შეცვლა ფინანსიურმა კომისიამ საჭიროთ არ დაინახა. კომისიამ იმსჯელა მხოლოდ ჯამაგირების მომატებისა და დაკლების შესახებ. საპენსიო კასაში მოსამსახურეს ჯამაგირის ათი პროცენტი ენახება. აქიდან 5 პროცენტი მოსამსახურეს ერიცხება ჯამაგირიდან და 5 პროცენტსაც საბჭო იხდის. მოსამსახურეებმა იშვამდგომლეს, რომ საბჭოს ათი პროცენტი გადაეხადა. კომისიამ დაადგინა — საბჭომ ათი პროცენტი გაიღოს მხოლოდ იმ მოსამსახურეთათვის, რომელთაც წლიური ჯამაგირი 1000 მანეთს არ აღემატება. ვინც 1000 მანეთზე მეტს ღებულობს, მათ შესახებ კი ძველი წესები დარჩესო. ეს გადაწყვეტილება ფინანსიურმა კომისიამ ერთხმათ მიიღო.

ა. კრონიცკი კითხულობს კომისიის მიერ შემუშავებულ მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვის პროექტს. კომისიას გადაუწყვეტია მთის საქმის მეთვალყურობის საჭიროებაზე, ნაცვლათ ორი ათასი მანეთისა, 2400 მანეთი გადაიდვას.

ჩანიშვილი: რაში გამოიხატება მთის საქმის მეთვალყურობის გაძლიერება?

გ. ზდანოვიჩი: ეს ფინანსიურმა კომისიამ გუშინდელ სხდომაზე ვრცლათ განიხილა.

ჩანიშვილი: მე მეთვალყურობის გაძლიერების მომხრე ვარ, თუ კი ეს ნამდვილათ მოხდება.

გაბაძე: რა მდგომარეობაშია მთის საქმეთა მეთვალყურობა?

თავჯდომარე: ამის შესახებ კამათს ვსწყვეტ. — კომისიაში, სადაც ეს გადასწყდა, როგორც საბჭოსი, ისე თქვენი წარმომადგენლებიც იყვნენ.

გაბაძე: მე აღვნიშნავ...

თავჯდომარე: ნებას არ გაძლევთ. შეგიძლიათ სამთო საქმეთა სამართველოში იჩივლოთ.

გაბაძე: მადნის დამუშავება ძალიან ცუდ პირობებში ხდება. სამთო საქმეთა მეთვალყურეები ამას ნაკლებათ აქცევენ ყურადღებას. ამაზე ახლა საბჭოს ყურადღებას მ ვაქცევ

თავჯდომარე სიტყვას არ აძლევს. ა კრონიცკი ხარჯთაღრიცხვის პროექტის კითხვას განაგრძობს. კონსულტანტი ინჟინრის ჯამაგირის მომატების გამო გ. ზდანოვიჩი განმარტებას იძლევა. ინჟინერს წინათ 2400 მანეთი ქონია. ახლა კომისიას 5000 მანეთი დაუნიშნავს. ინჟინერს დაევალა, რომ ჩვენთვის ჭიათურაში თვეში 15 დღე იმუშაოს.

მსჯელობენ შკოლების ხარჯის შესახებ.

გ. ზდანოვიჩი: დავაარსეთ მოთადარიგე მასწავლებლის თანამდებობა. თუ ვინიცობაა, ჩვენი შკოლის რომელიმე მასწავლებელი ავათ გახდა, ან სადმე წავიდა, ეს მასწავლებელი მის მაგიერობას გასწევს, გუშინ ფინანსიური კომისიის სხდომაზე საქალაქო შკოლის ინსპექტორმა შემოიტანა სხვადასხვა შვამდგომლობა. ითხოვდა, სხვათა შორის, თითოეულ მოსწავლისთვის დღეში თითო ბლითის მიცემას. ამ წინადადების ასრულება ორი ათასი მანეთის ხარჯს ითხოვდა.

ი. ნიჟარაძე. არა მგონია, რომ ბლითებში ორი ათასი მანეთი დახარჯულიყო.

გ. ზდანოვიჩი: კომისიამ ამის შესახებ დაადგინა, თუ დაარსდება ბავშთა მზრუნველი საზოგადოება, საბჭო ამ დახმარებას მას მისცემს, კომისიის სხდომაზე აღნიშნეს ჭიათურის საქალაქო შკოლასთან არსებული ტეხნიკური განყოფილების ნაკლულევანება. ზოგიერთები ფიქრობენ, ამ შკოლის ქუთაისში გადმოტანას.

კრება ამის შესახებ საბჭოს წინადადებას ღებულობს.

შემდეგ ა. კრონიცკი კითხულობს კომისიის გადაწყვეტილებას ფოთისა და ბათომის მუშების მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ 7 ათასი მანეთის გადადებას. აქიდან ექვსი ათასი ფოთის მუშებს მოხმარდება და ათასიც ბათომისას.

გ. ზდანოვიჩი: დახმარების ასე განაწილება იმიტომ მოხდა, რომ ბათომში ქალაქის საავათმყოფო არსებობს, ფოთში კი ქალაქს საავათმყოფო არ აქვს, იქ კერძო საავათმყოფოა. ბათომში მუშებისთვის საექიმო დახმარების მიცემა უფრო იაფი ჯდება, ვიდრე ფოთში. ფოთში აქიმ მიქაბერიძეს შევუთანხმდით მუშებისა და საბჭოს წევრთათვის საექიმო დახმარებაზე და წამლების მუქთად მიცემაზე.

სულ 1914 წლის ხარჯი 550,000 მანეთს უდრის.

გაფრინდაშვილი: გუშინ ფინანსიური კომისიის სხდომაზე განვაცხადე, რომ პერევისის შკოლას დახმარება მისცემოდა. კომისიის წევრები ამ განცხადებას დუმილით შეხვდენ. და ახლა ამ საგანზე კრების ყურადღებას მივაქცევ.

სიმონ წერეთელი: დახმარების მიცემა არაა საჭირო.

გაფრინდაშვილი: თუ სხვა შკოლებს ეძლევა დახმარება, რატომ ამ შკოლას არ უნდა მიეცეს.

თავჯდომარე: ამ საკითხს კრებას შემდეგ მოვახსენებ.

გაბაძე: კომისიას დაუდგენია ბუღალტრის პირველი თანაშემწის წლიურ ჯამაგირათ ბინის ფულის მითვლით 1300 მანეთი. ვითხოვ, ორასი მანეთი მოემატოს კიდევ და დაენიშნოს 1500 მანეთი.

თავჯდომარე: ამის შესახებ კომისიას ექნებოდა ალბათ მსჯელობა. ასეთი საკითხის ამგვარათ გადაწყვეტა არ შეიძლება.

ვაშაძე: სხვაგან შკოლებში მასწავლებელთ ჯამაგირი იმის მიხედვით აქვთ, თუ რამდენი გაკვეთილი აქვთ აღებული. ჭიათურის საქალაქო შკოლაში კი ეს ასე არ არის.

სიდ. წერეთელი: საქალაქო შკოლებში ამ მხრით სულ სხვა წესი და კონონია.

ხოშტარია: საქალაქო შკოლებში ისეთი წესია, რომ თითო მასწავლებელს კვირაში 18—24 გაკვეთილი აქვს. ეს კანონია და აქ გაკვეთილების მიხედვით ჯამაგირი არ ნაწილდება.

ვაშაძე: მე კანონის შესახებ კი არა, სამართლიანობის შესახებ ვლაპარაკობ.

საჩხერის წარმომადგენელი საჩხერის პარალელური შკოლის შესახებ ლაპარაკობს. ლაპარაკობს ქართულათ და ითხოვს, რომ საჩხერლები შკოლის ბინის ფულის გადახდიდან გათავისუფლდენ: წლიურათ ბინის ფასათ რვაასი მანეთის გადახდამ ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ჩაგვაგდოო. რვაასი მანეთის შეუტანლობის გამო ოთხასი მანეთით დაგვაჯარიმესო. ს. წერეთელი საჩხერის წარმომადგენლის სიტყვას უთარგმნის კრებას. ს. წერეთლის გადათარგმნილ სიტყვაში საჩხერის წარმომადგენლის აზრზე უფრო მეტი თავისი აზრია. ს. წერეთელი ისეთ რამეს ლაპარაკობს, რაც საჩხერის წარმომადგენელს არ უთქვამს. წერეთლის ამგვარი გადათარგმნა სიცილს იწვევს.

გ. ზდანოვიჩი: ჩვენ გავხსენით საჩხერეში პარალელური განყოფილება იმ პირობით, რომ შკოლისათვის მცხოვრებს უფასო ბინა მოეცათ. ახლა გვთხოვენ ბინის ფულის გადასახადისაგან გაგვათავისუფლეთო. ამბობენ, 800 მანეთის ბინის ფულათ გადახდა საჩხერლებს უხერხულ მდგომარეობაში აყენებსო. არ ვფიქრობ, რომ საჩხერლები 800 მანეთის გადახდამ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენოს.

## დღიური

სტამბოლში ხმა გავრცელდა — ოსმალეთსა და საბერძნეთს შორის ომი მოხდებაო.

— რუმინიაში ებრაელთა წინააღმდეგ დემონსტრაციებს ახდენენ.

— მაკედონიის ავტონომიის შესახებ ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტი ბულგარეთის მთავრობას შეუთანხმდა.

— მექსიკაში მეამბოხეთა და მოკავშირეთა ჯარის შორის ბრძოლამ 36 საათს გასტანა. მეამბოხეთა [illegible] ათასი, მოკავშირეთა [illegible] კი 4 ათასი.

— 18 დეკემბერს ოსმალეთის [illegible] რიის დაარსების წლისთავზე დიდი მანიფესტაცია მოხდა: ახალგაზდობა — სტუდენტობა და მოწაფეები ქუჩაში გამოვიდენ და პატრიოტულ სიმღერებს გასძახოდენ.

— განზრახვაა — 1918 წელს პეტერბურგში საერთაშორისო ისტორიკოსთა თათბირი მოიწვიონ.

**ი. ნიჟარაძე:** რამდენი წელიწადია ეს პარალელური განყოფილება არსებობს სამხრეთში?

**გ. ზდანოვიჩი:** მეორე წელიწადი.

**ს. ანჯაფარიძე:** თუ რვაას მანეთს არ გადაიხდიან სახრელები, მაშინ ეს შკოლა ქიათურაში გადავიტანოთ. იძახიან: „მართალია, მართალია" საბჭო რვაასი მანეთის გადახდას არ ღებულობს. ვაშაძე ეხება ბერძენთა შკოლას.

**სიმ. წერეთელი:** ვაშაძე ბერძნული შკოლის შესახებ ზღაპრებს ლაპარაკობს. მე თვითონ დავესწარი ამ შკოლაში მოწაფეთა გამოცდას.

**გ. ვაშაძე:** მე ჩემი თვალით ნახულსა და ბერძნული შკოლის მასწავლებელთა ნათქვამს უფრო ვუჯერი, ვიდრე სიმ. წერეთლის ნათქვამს.

ამ საგანზე კამათს სწყვეტენ.

**ვაშაძე:** ბაზრის ქუჩაზე სამკითხველოს გახსნისათვის ხუთასი მანეთია გადადებული. მე მგონია, ეს ფული არ იკმარებს. საბჭო ამ ფულით სამკითხველოს გახსნას ვერ შესძლებს. ჩემის აზრით, საჭიროა, ამ ფულს კიდევ მოემატოს. სახალხო უნივერსიტეტის სასარგებლოთ ფინანსიურ კომისიას 1500 მანეთი გადაუდვია. უნივერსიტეტის გამგეობას ბევრი განზრახვა აქვს. განზრახვა აქვს რამდენსამე ადგილს სახალხო კითხვები მოაწყოს. განზრახვათა ასასრულებლათ ეს ფული გამგეობას არ ეყოფა. ასე ცოტა ფულით საზოგადოება თავის დანიშნულებას პირნათლათ ვერ შეასრულებს. საზოგადოება დიდ მუშაობას ეწევა. წინადადებას ვიძლევი ს. ხალხო უნივერსიტეტის გამგეობას 2200 მანეთი მიეცეს. ამ საზოგადოებას 1907 წელს მიეცა 1500 მანეთი. ახლა საზოგადოებას უფრო ბევრი მოთხოვნილება აქვს და მეტი დახმარებაცა სჭირია.

**გ. ზდანოვიჩი:** ფინანსიური კომისიის სხდომაზე სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის წევრებიც იყვენ. მათ ეს ფული საკმაოთ ალიარეს. ესეც არ იყოს, სახალხო უნივერსიტეტს ხომ მარტო ჩვენ არ ვინახავთ. ის თავისი არსებობის საჭიროებისათვის სხვა გზითაც უნდა კრეფდეს ფულს.

**ჭანიშვილი:** სახალხო უნივერსიტეტისათვის დახმარების გადიდების წინაღმდეგი არა ვარ. ვთხოულობ ელექტრონის ძალა ქიათურის დრამატიულ საზოგადოებას თეატრის გასანათებლათ უფასოთ მიეცეს, მაშინ სახალხო უნივერსიტეტს ფასს არ გადავახდევინებთ.

**გ. ზდანოვიჩი:** ელექტრონის ძალის უფასოთ დათმობა არ შეიძლება. უმჯობესია დახმარება გავუდიდოთ, ვიდრე ელექტრონი უფასოთ დავუთმოთ. ჩვენ საავათმყოფოში რომ ელექტრონის ძალა გვჭირდება, ამისათვის ფულს ვიხდით.

**ჭანიშვილი:** თქვენს ყურადღებას მუშათა დაზღვევის საკითხს მივაქცევ. ეს აზრი წინა სხდომაზე არ განმიმარტავს კარგათ.

**თავჯდომარე:** ლაპარაკის ნებას გაძლევთ იმ პირობით, თუ მხოლოდ ფულის ჯამზე ილაპარაკებთ.

**ჭანიშვილი:** ფულის ჯამს არ ეხება, საკითხს სხვა მხრით არჩევს. მას თავჯდომარე სიტყვას აწყვეტინებს.

**ჭანიშვილი:** ახლა შკოლების შესახებ...

**თავჯდომარე:** ილაპარაკეთ მხოლოდ შკოლების საჭიროებისათვის გადადებული ფულის ჯამის შესახებ.

**ჭანიშვილი:** ნუ გაგიკვირდებათ, თუ მე სტიპენდიის წინააღმდეგ წავალ. სტიპენდიებს სარგებლობა მოაქვს, მაგრამ ეს ფული სხვა საქმეში კიდევ მეტს სარგებლობას მოიტანდა. ამ ფულით შეიძლებოდა სასოფლო სამეურნეო შკოლის გახსნა.

დარბაზში ხმაურობაა, იძახიან: კმარა, კმარა. თავჯდომარე კრებას ეკითხება—აძლევს თუ არა ჭანიშვილს ლაპარაკის უფლებას? ხმები:—არ ვაძლევთ, არ ვაძლევთო.

**ჭანიშვილი:** ეგ კენჭის ყრით უნდა გადასწყდეს. მოვითხოვ კენჭის ყრას. ლაპარაკის ნებას არ აძლევენ. ჭანიშვილი მაინც ლაპარაკობს.

**ჭანიშვილი:** დავავალოთ საბჭოს სამეურნეო შკოლის წესდება თუნდა წინამძღვრიანთკარის მზგავსი შეიმუშაოს და მომავალ კრებას წარმოუდგინოს. საავათმყოფოებზე ხარჯების გადიდებას სიამოვნებით ვეგებები.

**კოტე აბაშიძე:** ჭანიშვილის მიერ გამოთქმული აზრის წინააღმდეგ არაფერი გვეთქმის. მისგან დასახელებული შკოლის გახსნაც მოხერხდება და სტიპენდიებიც არ გაუქმდება.

კრება ამტკიცებს მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვის პროექტს ფინანსიური კომისიის მიერ შეტანილი ცვლილებით და ვაშაძის შესწორებით. სხდომა ათი წამით შესწყდება. განახლებას შემდეგ მსჯელობენ პერევისის შკოლის შესახებ.

**გაფრინდაშვილი:** შკოლის მდგომარეობა ძალიან აუტანელია. თითოეულ პარტაზე ექვსი მოწაფე ზის. შკოლის შენობა რემონტს საჭიროებს. შკოლამ შკაფებიც უნდა შეიძინოს.

**სიმ. წერეთელი.** ყველა ის ფული, რაც შკოლის სასარგებლოთ მიდის იკარგება. პერევისის შკოლაში არავინ მისცემს ბავშს.

**ხმები:** 50 მანეთი მივსცეთ! ორასი მანეთი! უმჯობესია, სრულებით ნუ მივსცემთ დახმარებასო!

**სიდ. წერეთელი.** თუ პერევისის შკოლის გადმოგვცემენ, მივიღებთ ჩვენს მფარველობაში: ვემხრობი სიმ. წერეთელს, რომ შკოლისთვის სუბსიდიათ მიცემული ფული დაკარგულია. გაფრინდაშვილის სიტყვის გამო პროტესტს ვაცხადებ.

იწყებენ მსჯელობას საბჭოს სასარგებლოთ საფუთო გადასახადის შესახებ.

**გ. ზდანოვიჩი:** ფინანსიურ კომისიას ამ საგანზე ორჯერ ქონდა მსჯელობა და არც ერთჯერ გადაწყვეტილ აზრს არ დასდგომია. ხარჯთაღრიცხვა შედგენილია იმ მოსაზრებით, რომ საფუთო გადასახადის შემოსავალი პირველი იანვრიდან არის ნაანგარიშევი.

შემდეგ საბჭოს თავჯდომარე აღნიშნავს, კომისიაში ამის შესახებ რა აზრი გამოითქვა, ზოგი იმისი მომხრე ყოფილა, რომ აპრილიდან შემოიღონ საფუთო გადასახადი, და ზოგიც პირველი ივლისიდან. გადასწყდა შემოიღონ ფუთზე მეოთხედი კაპიკი 1 ივლისიდან. ეს შემოსავალს ძალიან შეამცირებს და ამისთვის საბჭოს უფლება მისცეს სესხის აღებისა. სხდომა სამ საათზე დაიხურა.

## † ელისაბედ პავლეს ასული გელოვანისა.

განსვენებული ერთი იმ ღირსეულ ადამიანთაგანი იყო, რომელთაც დაუთმიათ ქვეყნიური ფუფუნება და საზოგადოების სასარგებლო შრომაში ლევენ სიცოცხლის დღეთ.

აი, მოკლეთ მისი ბიოგრაფია, საიდანაც მკითხველი დაინახავს მისს თავდადებულ ბრძოლას სწავლა-განათლების ეკლით მოფენილ გზაზე:

1879 წელს მან პირველი ხარისხით დაასრულა ქუთაისის წ. ნინოს საქალო სასწავლებელი. ამავე წლიდან იწყებს იგი მასწავლებლის მძიმე უღლის ზიდვას. მას ნიშნვენ მასწავლებლათ იმავე სასწავლებელში, მაგრამ იგი ვერ ურიგდება მაშინდელს სამოსწავლო მკაცრ რეჟიმს.

და ამ მიზნით ხსნის თავისსავე სახლში პანსიონს 1881 წელს. ამ წლიდან იგი ეწევა ორს მძიმე უღელს: დედისასა და მასწავლებლისას. ამ წლიდან იწყება მისი ჩუმი და ნაყოფიერი შრომა, შრომა თავდადებული და ბრძოლა თავგანწირული ათასგვარს დამაბრკოლებელ მიზეზთან.

მას არ აქვს საშუალება ნივთიერი, რომ ფიზიკური შრომა მაინც აიცილოს, მაგრამ არც ამას უდრკება მისი საკვირველი ენერგია. ვინ მოსთვლის, რამდენი მოთხოვნილება აქვს ბავშის აღზრდას. განსვენებული ყოველივე ამას ურიგდება და წმინდა მშობლიური გრძნობა-სიყვარულით ზდის სხვის ბავშებს, უვლის სხვის შვილებს, არ ერიდება არავითარ შემთხვევას, რასაც თვით ზოგი დედაც კი გვერდსა აუქცევს ხოლმე ხშირათ. მასში ბავშები ხედვენ არა მარტო მასწავლებელს, არამედ მზრუნველსა და მოსიყვარულე დედას.

1881 წლიდან დაწყებული უკანასკნელ დღემდი შეუსვენებლათ განაგრძობდა ჩვენი ბავშების დედობასა და წსავლა-განათლების გზაზე მათს დაყენებას.

ამრიგათ იგი ამ დიდსა და ნაყოფიერ შრომას ეწევა ოცდათორმეტ წელიწადს. ამ ხნის განმავლობაში მან თავის მკერდ-მკლავზე ჩვენს ქვეყანას გაუზარდა მრავალი ქალ-ვაჟი, რომელთაგანაც უმრავლესობას მის მიერ სიყრმითვე ნაჩვენები გზით უმაღლესი და საშვალო სწავლა დაუსრულებიათ და დღეს თვისი წვლილი შეაქვთ ჩვენი ქვეყნის ცოდნის სალაროში.

იგი არ ხელმძღვანელობდა არავითარი პირადი ინტერესებით, რასაც ამტკიცებს ის, რომ პირადი ფუფუნების უარყოფას თან მას არაფერი დარჩენია გარდა ვალისა.

მას ამოქმედებდა მხოლოდ ერთი მიზანი: „სწავლა შექმნის ცხოვრების ყოველგვარი პირობის გაუმჯობესებასო". ამ მიზნის მისაწევათ მას ქონდა შემდეგი პრინციპები: „მასწავლებლისადმი უნდა იგრძნოს ბავშმა თავისუფლება და მშობლიური სიყვარული",—„მასწავლებელმა უნდა შეაყვაროს ბავშს თავისუფლება, ცოდნა და მშობელი მხარე; არა შიში მასწავლებლისა, არამედ სიყვარული და მორიდება.'' აი განსვენებულის მოქმედების პრინციპი. ბავშთა მოვლა, სწავლა და სიყვარული იყო მისი ცხოვრების საგანი და სულის ამოხდენის დროსაც უკანასკნელი მისი სიტყვა იყო:.. ,,ბავშებს.... მოუარეთ"

მის სახელს მარადის უკვდავ ყოფს მისივე შრომის ნაყოფი.

მასწავლებელი იდია ფალიანი.

## ფოთის მუშების წერილი.

(გაგრძელება იხილე ,,ერი" 41-ე №)

ახლა მივმართოთ 1906 წელს, ამ ხალხის გამოღვიძების ხანას. მოიჯარადრეო ა მოისპო მაშინ და არტელის საქმეს ამხანაგური წესით განაგებდენ. მოხდა დიდი, ყველასთვის სამახსოვრო გაფიცვა. გაფიცული იყო თითქმის ყველა დარგის მუშა. ვიდრე გაფიცვა დაიწყებოდა ფეხქვეშ დაგვეგენ: მხარი დაგვიჭირეთ, კვლავ ამხანაგები გავხდეთო. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ დავცით მუშის ხელფასი, არ გავუწიეთ კონკურენცია; რომ არც ეთხოვათ, მაინც არ ჩავიდენდით ამგვარ საზიზღრობას, თუმცა ახლა უსირცხვილოთ სწორეთ ამაში გვდებენ ბრალს. მოიგონეთ, ბატონებო, ის დრო, გაიხსენეთ ჩვენი მაშინდელი გონივრული თავდაჭერილობა და მერე ილაპარაკეთ ჩვენი შტრეიკბეხერობისა და ამხანაგების მყვლეფელობის შესახებ! მთლათ ნუ გაირეცხავთ სინიდისს!

ეს გაფიცვა მუშების სრული გამარჯვებით დასრულდა. ახლა საქმე მუშების მიღებას შეეხებოდა; ამის შესახებ მოლაპარაკებას ჩვენც დავესწარით. წარმოიდგინეთ ჩვენი განცვიფრება, როდესაც არცერთი ხონელი და არცერთი მეგრელი მუშა არ გაირიეს!! ჩვენ ყველა პირში ჩალაგამოვლებული დაგვტოვეს. მიიღეს მხოლოდ თავისიანნი და გაამართლეს დოკტრინა დასელთა: ,,მწამს ერთი ღმერთი და სხვა არავინ გარეშე მისსა'', და ეს მათი ღმერთი არის კუჭი. ტყუილათ-კი არ დაერქვა იმათ პარტიას ,,კუჭისტების'' პარტია! ნათქვამია; ,,რომ ვსთქვა, მამა მომიკვდებაო, რომ არა ვსთქვა—დედაო'', და ეს ჩვენზეა სწორეთ ზეგამოჭრილი. რამდენი რა ვიცით, რამდენი საიდუმლოა ჩვენს გულში ჩამარხული და რამდენი სისაძაგლისა და გაიძვერობის მოწმენი ვართ, მაგრამ, ეჰ... ბევრს რასმე ვმალავთ სხვადასხვა მიზეზისა გამო და ამ წერილში მხოლოდ სუბუქ ფაქტებს აღვნიშნავთ.

როგორც ზემოთ ვსთქვით, ხონელმეგრელი მუშები გაგვრიყეს: ,,მოიცადეთ, საქმე კიდევ მოკეთდება''—გვეუბნებოდენ. მაგრამ ჩვენ იმათ ლათაიებს ყური არ ვათხოვეთ. ერთ თვეს შემდეგ მეგრელი მუშებიც ავიყოლიეთ და 80-მდი კაცი შევუერთდით ორივე—რუსისა და რუსეთის საზოგადოების მუშათა არტელს. ჩვენ ამით წესიერება არ დაგვირღვევია, არც თუ ვისმესთვის შეურაცხყოფა მიგვიყენებია; ამაზე იმათაც არა უთქვამთ რა და იმ დღიდან 1909 წლამდი ამხანაგურათ ვმუშაობდით. ხსენებულ წელს რუსის საზოგადოებასთან დადებულ ხელშეკრულებას ვადა გაუთავდა. დროც მაშინ გამოცვლილი იყო, თავისუფლათ რისამე თქმა და გაკეთება შეუძლებელი იყო, ამიტომ რუსის არტელს ხელფასი შეუმცირეს.

ამ დროს რუსეთის საზოგადოების ადგილობრივ სააგენტოს რევიზორი ეწვია; მან წინადადება მოგვცა: ,,რუსეთის'' მუშებს გვემუშავნა იმ ფასათ, რა ფასიც რუსის საზოგადოებამ დაუწესა თავის მუშებს, ე. ი. დაკლებული ფასით. სწორეთ ხონელმა მუშებმა გამოვიდეთ მაშინ თავი, და მაშინდელი აგენტის ბ. გვეგლიას დახმარებით, უარი ვსტკიცეთ რევიზორს და ხელშეკრულობას წლის ბოლომდი შევინარჩუნეთ ძალა. განა ჩანს აქიდან, რომ ჩვენ მუშების ხელის შემშლელი ყოფილვართ? მაგრამ ჩავყვეთ ქვემოთ.

1910 წელს რუსეთის საზოგადოების არტელს ახალი ხელშეკრულობა უნდა შეედგინა; ამ დროს თავი წამოყო მრავალმა მოიჯარადრემ. სხვათა შორის, ა. მელაძეც გაერია ამ საქმეში და ბოლოს მასვე მიენდო არტელის შედგენა. ა. მელაძეს თურმე მიწერ-მოწერა ქონია გამართული გურულ მუშებთან ა. და რ. სიხარულიძეებთან, დღევანდელ მათს ძეთაურებთან, სამუშაოს იჯარით აღების შესახებ. ამის თაობაზე ხონელმა მუშებმა არა ვიცოდით.. გულს ის გვიკლავს, რომ მტყუანი თუ მართალი ყველა ჩვენ გვაძრობდა ტყავს, ყველას საწველ ფურათ ჩვენ მივაჩნდით! ხელშეკრულობის შედგენის დროს რო მოაწია, ა. მელაძემ კეხი შეაბრუნა და სულ სხვა კილოზე იწყო ღიღინი; მოიწვია ყველას გასაგებათ:—არტელის შედგენის უფლებას კანტორა მე მაძლევს, მოლაპარაკება გამართეთ, თუ თანახმა იქნებით და გინდივართ მე მოიჯარადრეთ, ჩამოვალ, მხოლოდ ა. ქლენტი ახლოს არ უნდა გამაკაროთ, რადგან ჩვენ ერთად ვერ მოვთავსდებითო. ამ დროს კანტორა ათასი ფუთის გადმოზიდვაში 10 მანეთსა და 10 შაურს იძლეოდა.

ა. ქლენტს, აბა, რა გამოეპარებოდა; გაიგო და შეუდგა საქმეს. გურული და ხონელი მუშები ერთმანეთს დაატაკაუთხრა გურულებს და მეგრელებს: ,,თუ ა. მელაძემ აიღო სამუშაო, თქვენი ქაჭანებაც-კი არ იქნება შიგო''. ეს დაიჯერეს მეგრელ-გურულმა მუშებმა და სანამ ა. მელაძე ჩამოვიდოდა ფოთს, შინაური ხელშეკრულობა გააკეთეს ა. ქლენტთან, რომ მას რა გზითაც არ იქნებოდა—დაკლებული ფასებით, თუ ქრთამების საშვალებით რისთვისაც მათ არა ერთჯერ მიუმართავთ,—აელო სამუშაო და სიტყვას სდებდენ ხონელი არავინ მიეღოთ; ამგვარათ ა. ქლენტმა და მათმა ,,მფარველებმა'' ისევ აამხედრეს გურულ-მეგრელი მუშები ხონელების წინააღმდეგ. აქ მათ მუშის ინტერესიც-კი შელახეს, რადგან ეს საქმე დაკლებული ფასებით—ასი ფუთი 10 მანეთად, მაშასადამე 10 შაურ ნაკლებ—აიღებიეს ა. ქლენტს. ყველაფერი ეს მოხდა 1909 წლის შობის დღესასწაულებში; ჩვენთვის არაფერი გაუგებინებიათ, მაგრამ ყველაფერი კი დაწვრილებით ვიცოდით. ახალ წლის მეორე დღეს ჩვენც გავედით სამუშაოთ, მაგრამ ქლენტისტები ხმალ ხანჯლით შეიარაღებული დაგვხვდენ და სამუშაოზე არ მიგვიშვეს; გაიიიწვიეს ბოქაული და წინანდებურათ გაგვრეკეს ჩვენ ორმოცდაორი კაცი ხონელი მუშა! დაგვამცირეს, შეურაცხგვყვეს!

ჩვენ გამოვითხოვეთ ქლენტისტები სამედიატორო სამართალში, მაგრამ, როგორც ჩვევიათ, სამართალზე უარი სთქვეს, რასაკვირველია, ,,უფროსი ბატონის'' ანუ, უკეთ ვსთქვათ, ხერხიანი მტაცებლების წყალობით. ბევრი წანწალისა და მათთან მოლაპარაკებას შემდეგ დაღლილ-დაქანცულმა ჩვენმა მოციქულმა, დასელმა, მათმა კაცმა გ. ი—შვილმა ასე გვითხრა:—ვატყობ, ძმებო, რომ იმათში სინიდისის ნატამალიც-კი არ მოიძებნება, რადგან, ხომ ხედავთ, რამდენს არ ვეცადე, მაინც ვერაფერი გავაწყვე მაგათთან და შემდეგ ამისა სრული უფლება გაქვთ, როგორც გსურთ, ისე იმოქმედოთ იმათ წინააღმდეგო.

ყველაფერს აქვს საზღვარი, ჩვენს მოთმინებასაც საზღვარი დაედვა რაკი გონივრულის, კულტურული გზით მათთან ვერაფერს გავხდით, შემდეგ, სიმართლე უნდა ითქვას, კიდევაც ვცდილობდით კონკურენცია გაგვეწია,—თუმცა ეს, ვფიქრობთ, ცოდვათ არ უნდა ჩაგვეთვალოს, შემდეგ იმისა, რაც იმათ თავს დაგვატეხეს. ამ გარემოებამ ისინი ძალზე დააფრთხო, თუმცა არაფერი ჩაგვიდენია და დღემდი უმწიკვლოთ დავაკავით მუშის ინტერესი. კონკურენციაში არავის ჩავდგომივართ, და ა. მელაძეს, რათა ამ უკანასკნელს ჩვენთან საქმე არ დაეჭირა,—დაავიწყდათ, რომ ჩვენ რაც არ უნდა დაგვმართოდა შიმშილით დავიხოცებოდით და ა. მელაძეს მაინც არ მივმართავდით,—მიართვეს სხვადასხვა ხარისხის საჩუქარი, სახელდობ: სამასი მანეთი ერთდროულათ და 40 ყოველთვიურათ, რა არის რომ იგი თავისთვის ... ... ა, „წმინდა წყლის ... ... საშუალებას მიმართვენ ხოლმე ... მისაწევათ! ამაზე გაცილებით უარესი მაგალითების მოყვანა ... ... კიდევ ბევრი, რაც მოხდა იმ ხანებში არაჩვეულებრივი ... ... ... აღვნიშნეთ, ყველაფრის გაზეთის ფურცლებზე გადატანა შეუძლებელია.

ამიტომ ვსტოვებთ ბევრს რასმე და პირდაპირ გასული თვეების გაფიცვებს მივმართავთ და მის შედეგებზე ვილაპარაკებთ. (დასასრული ხვალ).

## რუსეთი

**მოწოდება.** მოსკოვში ფურცლები გავრცელდა, სადაც ბეილისის საქმის შესახებ სწერდენ; ამტკიცებდენ ებრაელებში რიტუალური მკვლელობის არსებობასა და მოუწოდებდენ ხალხს ,,დაიცავით ბავშებიო.'' ფურცლები ვოსტორგოვის თანამშრომელს ორლოს გაუვრცელებია. ორლოვი რკინის გზის გზის მოსამსახურე ყოფილა და მგზავრთა ბილეთების შემოწმების დროს არიგებდა ამ ფურცლებსო.

**სტუდენტი.** 14 დეკემბერს პეტერბურგში ბერათ აღიკვეცა სასულიერო აკადემიის მეორე კურსის სტუდენტი ვ. კირილოვი. კირილოვი აკადემიაში შესვლამდი ნაფიც მსაჯულათ ყოფილა. ის 1898 წლიდან სასულიერო აკადემიაში სამჯერ შესულა, მაგრამ კურსი არ დაუსრულებია და გამოსულა.

**ანარქისტ-მუშების საქმე.** ათ იანვარს გაირჩევა ექვსი ანარქისტიმუშის საქმე, მათ ბრალდებათ ანარქისტთა პარტიის წევრობა და პარტიის სახელით პროკლამაციის გამოშვება. სამი ბრალდებული დაპატიმრებულია და სამიც გადასახლებული. ანარქისტ-მუშებს ნაფიცი მსაჯული სოკოლოვი დაიცავს.

## უცხოეთი

**ფინანსიურ საქმეთა კონფერენცია.** საერთაშორისო ფინანსიურ საქმეთა კონფერენცია გაიხსნება პარიზში მომავალი წლის იანვარში. კონფერენციაზე იმსჯელებენ აღმოსავლეთის რკინის გზის შესახებ. დღემდი გამოურკვეველია ამ საქმეზე გერმანიის, ინგლისისა და რუსეთის დამოკიდებულება ვენის კაბინეტთან.

**ბულგარეთის ამბები.** გენადიევის სამსახურიდან გასვლის ქაღალდი მეფემ დაამტკიცა. ბულგარეთის დეპუტატთა სახალხო კრება 17 დეკემბერს გაიხსნება. მეფე სეფე-სიტყვას ფეხზე ადგომითა და ქუდმოხდილი წაიკითხავს. მიწის მოქმედთა პარტიის წევრები მეფის ამ მოქმედებაში მეფის ... დაუდგომას ხედვდენ.

**იაპონია და შეერთებული შტატები.** იაპონიის მთავრობა მექსიკის ელჩს დიდი ამბით არ შეხვედრია, ვინაიდან ვაშინგტონისათვის უსიამოვნების მიყენება არ უნდოდა. ამის გამო პარლამენტის დეპუტატებმა მოაწყვეს მექსიკის ელჩის სადღესასწაულო შეხვედრა. ელჩს სადგურზე რამდენიმე ათასი კაცი დახვდა. განსაკუთრებულმა დეპუტაციამ ელჩს მიართვა მისასალმებელი ადრესი და ორი იაპონური ხმალი. შემდეგ ხალხი გაემართა მექსიკის ელჩის ბინისაკენ. იქ ხალხმა ელჩს მეგობრული მანიფესტაცია გაუმართა.

**ახალი ჯგუფი.** გერმანიის რეიხსტაგში შესდგა დეპუტატთა ახალი ჯგუფი, რომელსაც გერმანია-საფრანგეთის დაახლოება აქვს მიზნათ დასახული. ამ ჯგუფში გარდა კონსერვატორებისა ყველა პარტიის წარმომადგენელი შედის. რეიხსტაგის სხდომაზე ამ ჯგუფის დეპუტატები აღნიშნვენ გერმანიისა და საფრანგეთის დაახლოების აუცილებელ საჭიროებას.

**იაპონიის პარლამენტი.** ამ რამდენსამე დღის წინათ იაპონიის პარლამენტის 31-ე სესია გაიხსნა. პირველ რიგში პარლამენტი განიხილავს 1914-ისა და 15 წლების ბიუჯეტს, რომლის განხილვის დროსაც პარლამენტი გამოარკვევს თავის დამოკიდებულებას მთავრობის მოღვაწეობასთან. რუსეთ-იაპონიის ომს შემდეგ პოლიტიკური და ფინანსიური კრიზისი იაპონიაში ძალიან გამწვავდა. ამიტომ პარლამენტს ძალიან ცუდ პირობებში უხდება მუშაობა. პარლამენტის შედგენილობა ასეთია: 203 დეპუტატი მთავრობის პარტიის წევრია, 172 ოპოზიციისა და ხუთიც უპარტიო. მთავრობის პარტიის წევრ დეპუტატებს ერთმანეთ შორის უთანხმოება აქვთ და ეს პარტიის დაუძლურებას გამოიწვევს.

საქაღალდო სახლი
ი. გოკიელის ძმ—ბის
ქუთაისში.

მიღებულია და იყიდება ძლიერ ზომიერ ფასებში **სადარბაზო ბარათები** საუკეთესო ხარისხის (Визитныя карточки изъ загран. бристоли). რუსული კალენდრები. საუკეთესო გამოცემა ოტტო კისნერის და სიტინის ამხანაგობისა. ქართული კედლის ... ტყავის პორტფელები. (Портфели адвокатскія, документныя и вексельныя).
ვალათები ქაღალდის ჩასაყრელი.
**27-ნ 31 დეკემ. გაიყიდება წვრილათ ყოველნაირი კონფეტები**
დაკლებულ ფასებში.

დეპოლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობის და შპალიერის ქ. ქუთაისში.
**ფ. ს. ფილიპოვისა.**
ალექსანდრეს ქუჩაზე,

მოიგპოება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი სათვალხო სამკაული: ნავთის სამოვრები, ღუმლები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი „ლინელიუმი“, სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი მვირფასი სათავსხო ნივთი, აუარებელი ასარჩევი ნიმუში, შპალერის თოფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშე.
პატივისცემით ფ. ს. ფილიპოვი. № 10.


## პირი თხოვნისა,

**რომელიც სოხუმის მიწის მოიჯარადრე გლეხების რწმუნებულებმა მეფის მოადგილეს მიართვეს.**

ქუთაისის გუბერნიაში მიწის სივიწროვისა და მცხოვრებთა რიცხვის თანდათანობითი გამრავლების გამო, რაიც ბუნებრივი პირობების გავლენითაა გამოწვეული, ნაწილი ამ მცხოვრებლებისა იძულებული ხდება ეძიოს მიწა მახლობელ ადგილებში, სადაც კი მოიპოება კერძო მემამულეთა თუ სახაზინო მამული. ასე ხდება სახელდობ სოხუმის ოლქში, რომელსაც ზუგდიდისა და სენაკის მჭიდროთ დასახლებული მაზრები აკრავს.

სოხუმის ოლქში სხვადასხვა დროს უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში ცხოვრობდა ქუთაისის გუბერნიის სხვადასხვა მაზრიდან მიწის სიმცირის გამო გადმოსახლებული 30 ათასი გლეხი, ამ გლეხებს იჯარით ქონდათ აღებული მამული როგორც კერძო მემამულეთაგან, ისე ხაზინიდან. სიბეჯითისა, გაჭირების ატანისა, ადგილობრივი ჰაერის შეგუებისა და შრომის მოყვარეობის გამო, როგორც კერძო მესაკუთრეთა, ისე ხაზინისათვის ჩვენ ვითვლებოდით საჭირო მუშებათ და მოიჯარადრეებათ: ბოლო დროს, როდესაც ჩვენი შრომით ჭაობები ამოშრა, ტბიანი ადგილები გაიწმინდა და სხვადასხვა კულტურული მცენარისათვის მიწის ნიადაგი მომზადდა; მემამულეთა მოთხოვნილებაც გაიზარდა, ამას შემდეგ მიწით სარგებლობის ფასმა მოიმატა და მისი გადახდა ჩვენს საშვალებას აღემატა, რის გამოც იძულებული ვხდებოდით, ეს ადგილები თანდათანობითი დაგვეტოვებია. ამ უკანასკნელ დროს, იმ მიზნით რომ კერძო მემამულეთა მამულიდან აგვყარონ; ნებას გვაძლევენ შავ მუშებათ დავდგეთ ოსმალეთიდან გადმოსახლებულ უცხოელთა პლანტაციებსა და მოიჯარადრეებით დასახლებულ ადგილებში, სადაც წინათ რუსეთის ქვეშევრდომი მოიჯარადრეები ცხოვრობდენ. სრულიად არ გვსურს პრივილეგიით სარგებლობა და არც უცხოელთა შევიწროება, მაგრამ ის ფაქტი კი უნდა აღვნიშნოთ, რომ დღევანდელ პირობებში, უცხოელთა, ოსმალეთის ქვეშევრდომთა მდგომარეობა ბევრათ უმჯობესია, ვიდრე რუსეთის ქვეშევრდომთა. ჩვენ, როგორც რუსეთის ქვეშევრდომთ, კანონის ძალით ტვირთად გვაწევს სხვადასხვა ბეგარა. ვიხდით სახელმწიფოსა და საერობო გადასახადს, გავდივართ სამხედრო ბეგარის მოსახდელათ და ჩვენს საუკეთესო ძალებს ვსწირავთ რუსეთის სახელმწიფოს ინტერესების დასაცავათ. მიუხედავათ ყოველივე ამისა, ჩვენ ოსმალეთის ქვეშევრდომებზე ბევრით უფრო ცუდ პირობებში ვართ. ყველა სახელმწიფოში და რესპუბლიკანურ საფრანგეთშიც კი შეუძლებელია იმგვარი იდეალური წესის განხორციელება, რომ უცხოელები არათუ მკვიდრ მცხოვრებლებთან შედარებით პრივილეგიით სარგებლობდენ, არამედ მკვიდრ მცხოვრებლებთან გათანასწორებული იყვენ. და ეს, რაც სხვაგან შეუძლებელია, ჩვენში ჩვენ მიმართ შესაძლებელი გახდა. სოხუმის ოლქში დასახლებული ოსმალეთის ქვეშევრდომები არათუ გვავიწროებენ როგორც მუშებს, არამედ როგორც მოიჯარადრეები და მიწის შეძენის უფლებით აღჭურვილები დასახლებული მამულიდან გვასახლებენ კიდეც. მემამულეებთან მიწის შეძენის მიზნით საქმის დაჭერის დროს, ისინი ჩამოერევიან, მამულზე ფასს აგვიწევენ და გვართმევენ მიწის შეძენის საშვალებას.

რამდენსამე ხნის წინათ გერმანიის ქვეშევრდომთაგან ჩვენ ვიყიდეთ მამული. არავინ იცის, როგორ გახდენ გერმანიის ქვეშევრდომები მესაკუთრეებათ. სოხუმის ოლქში სოფელ წაბელდაში. უცხოელებს მამულის შეძენის უფლება არ აქვთ. ჩვენ გერმანელებთან შევთანხმდით, მოვაწერეთ ხელშეკრულობას ხელი და მივეცით ბეთ ფული. მაგრამ ოსმალეთის ქვეშევრდომმა მოიჯარადრეებმა გაიგეს ეს და შეაძლიეს იმ მამულში მეტი ფული და მით ჩვენ მოგვისპეს საშვალება შრომით მოპოებული ფულით ჩვენივე ოფლით მორწყული მიწა შეგვეძინა.

ჩვენ იძულებული შევიქენით—ეს მოვლენა კავკასიაში უმაღლესი მთავრობისთვის მოგვეხსენებია იმ მიზნით, რომ ამგვარი მდგომარეობა წარმოუდგენელია და სახელმწიფოებრივი მოსაზრებით შეუძლებელი. ჩვენ იმის შესახებ არაფრის თქმა არ შეგვიძლია, რომ თავისუფალი მიწა ცენტრალური გუბერნიიდან გადმოსახლებულთ ეძლეოდესთ, ვინაიდან ამ შემთხვევაში იცვენ სახელმწიფოებრივ ინტერესს, მაგრამ როდესაც რუსეთის ქვეშევრდომთ მცირე მიწა აქვთ, მაშინ მიწის შეძენის საქმეში უცხოეთის ქვეშევრდომთა პრივილეგიებით აღჭურვა, ჩვენა გვგონია, სახელმწიფოებრივი ინტერესის წინააღმდეგი უნდა იყოს.

მოვალეობათ ვრაცხთ გაუწყოთ თქვენო ბრწყინვალებავ, რომ ამის შესახებ ცნობას ჩვენ სახელმწიფო სათათბიროშიც ვგზავნით.

## დაბა-სოფლები.

**ს. თერჯოლა** (ზემო იმერეთი). თვით ცხოვრება, თითქოს განგებ სჯის ჩვენი სამშობლოს ყოველ მხარეს, ბუნება, სიმშვენიერითა და სიმდიდრით შემკული, თითქოს განგებ იჩენს თავის სისასტიკეს ხალხზე და მიყავს იგი დაღუპვისაკენ. ისედაც გაძვალტყავებული და სხვადასხვა მიზეზით შეწუხებული გლეხი, წრევანდელი მოუსავლობით სრული მოსპობის გზაზეა დაქანებული. შიმშილის აჩრდილმა სასოწარკვეთილებაში ჩაგდო ხალხი, აქიდანვე დაიწყეს გლეხებმა თავისი მარჩენალი საქონლის გაყიდვა და მით თავის გამოკვება. თუ რით დაამუშავებს კვლავ მიწას, ამაზე ნაკლებათ ფიქრობს, ოღონდ საქონლის გაყიდვით ანაღები ფულით სიმიდი იყიდოს და უმწეო ოჯახი ამ ზამთარს გამოკვებოს. ასეთი უმწეო მდგომარეობის დროს საწყალი გლეხი ხელში უვარდება სოფლის ჩარჩებს, რომელნიც უხვათ სარგებლობენ მისი მდგომარეობით და ჩალის ფასათ ართმევენ საქონელს და ამასთანავე აწვდიან ისეთ სიმიდს, რომელსაც, კარგი მოსავლის დროს, გლეხი საქონელსაც კი არ აჭმევს. მართალია, აქ კარგი ღვინო დგება, და გლეხებს ცოტა მისი იმედი ქონდათ, მაგრამ განა ღვინით მოვაჭრეები კი არ სარგებლობენ გლეხის გაჭირვებული მდგომარეობით და არ იძენენ მათგან ღვინოს იმ ფასათ, როგორც მათთვის ხელსაყრელია? ეს კი გლეხის დღევანდელს გაჭირვებულ მდგომარეობას აორკეცებს. რომ გლეხმა როგორმე გაყიდოს ღვინო და მით სიმიდი დროით იყიდოს, იძულებულია მოვაჭრეს მოურიგდეს მიტანით დანიშნულ ადგილზე და ყოველივე ამას თუ მიუმატებთ ჩვენი სოფლების უგზოობას, ადვილი წარმოსადგენია მათი გაჭირვება ამ მხრითაც. ფუთი სიმიდი აქით ახლავე ექვს აბაზათ ფასობს და ურემი ჩალა 6—8 მანეთად, ყოველივე ამაზედ დაერთო ერთი უბედურებაც: გაჭირვებამ ნიადაგი მოუმზადა სხვადასხვა ბოროტმოქმედებას, გაჩნდა ქურდობა და თითქმის დღე არ გაივლის ისე, რომ ვისმე ან სიმიდი არ მოპარონ, ან სხვილფეხი და წვრილფეხი შინაური საქონელი. მიუხედავათ ასეთი გაჭირვებული მდგომარეობისა, კულტურულათ თერჯოლის საზოგადოება ჩამორჩენილი არაა. არის აქ ორკლასიანი სამინისტრო შკოლა, რომელშიც სამასამდი ბავში სწავლობს; არის აგრეთვე სამრევლო შკოლებიც. ხალხი სწავლა-განათლების საქმეს თანაგრძნობითა და გულმხურვალეთ ეკიდება. არსებობს კოოპერატიული დაწესებულება, რომლის საქმეც ჯერ-ჯერობით ჩინებულათ მიდის რაც დაამტკიცა მომხდარმა რევიზიამ. **დუხე.**

**ს. წესი.** (რაჭა). ეს სოფელი ქუთაისიდან 88 ვერსის მანძილზეა, მდინარე რიონის მარჯვენა მხრით, ოსეთის სამხედრო გზატკეცილის პირათ; ირიცხება 200 მეტი კომლი.

კულტურულათ სხვა სოფლებზე არ არის ჩამორჩენილი, სოფელს ამშვენებს დიდი როსტომ ერისთვის აშენებული ეკლესია, რომელსაც ეწოდება „ბარაკონი“. ეს დიდებული ტაძარი მგზავრის ყურადღებას იპყრობს მშვენიერებისა და სილამაზის გამო. კაიხანია ტაძარი ყავრით იყო დახურული და სახურავის სიძველისა გამო წვიმის წყალი ჩასდიოდა, რითაც ამ ძვირფასი ნაშთის კედლები ზიანდებოდა. დიდი მითქმა-მოთქმა იყო სახურავის გამოცვლაზე სამღვდელოებაში და ამა 1913 წ. დეკანოზ მ. სხირტლაძისა და ადგილობრივი ღვდ. ფ. გოცირიძის მეთაურობით ეს ტაძარი თუნუქით დაიხურა. სოფელშია ერთკლასიანი სამრევლო და ორკლასიანი სამინისტრო შკოლა, საკრედიტო ამხანაგობა, უფასო სამკითხველო, ეტლებით მიმოსვლის სადგური და ფოშტა-ტელეგრაფის განყოფილება. როდესაც ეს უკანასკნელი განყოფილება დამტკიცდა, მის კურთხევას აქაური მცხოვრებნი დიდი ამბითა და ზეიმით შეხვდენ. იმ დროს განყოფილების უფროსათ დაინიშნა ვინმე პოლონელი, რომელიც აქაურ ხალხს კარგი გრძნობით შეეთვისა და ყველა სწუხდა მის აქიდან გადაყვანას, ახლა კი საჭიროთ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ ამ ფოშტის განყოფილებიდან გამობრუნებულ კაცს ძვირათ შეხვდებით კმაყოფილს—ყველა უფროსის სანდუხავს შემოგჩივლებს, ყველა ფიქრსა და საგონებელს მისცემია, აღარ იციან რა სახსარი გამონახონ, რომ ეს დაწესებულება გამოიყენონ.

ერთს აქაურ კობურიძეს 6 სული ხარძროხა გამოეხრო ბოსელში; ნავახშმებს ხარების დასათვალიერებლათ მისულა ჭრაქით, პატრუქით ცეცხლიანი ნაშინშხალი დამპალ ჭერზე დავარდნია, დამპალ ფიცარს ცეცხლი გაჩენია და მთელი ღამე უჩუვლია, ქოხი კვამლით გავსილა და შიგ დამბული პირუტყვები სულ ეთიანათ გამომხჩვალან. ღარიბს დამშეულ გლეხს დამწვარზე მდუღარე დაესხა.

— წელს აქ ჭირნახული არ მოსულა, ეს არის შიმშილობა ფეხს იკიდებს, თოვლიც ერთი არშინის სიმაღლე მოვიდა, მიმოსვლაც შეჩერებულია და ხალხი თრთოლვითა და კანკალით მოელის შიმშილს. საჭიროა, ზრუნვა, საჭიროა, დახმარება საერთოდ მთელი რაჭისთვის.

**რაჭველი გლეხი.**

რედაკ.-გამომცემელი გ. ბრეგაძე.


## კ. ოცხელისა და ამხ. წიგნის საწყობშია

**შემდეგი გამოცემანი:**

1. ყუბანეიშვილი. პირველდაწყებითი დარიგება საღვთო სჯულის სწავლებაზე ფ. ყდით 6 შაური.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 2. | ქვარიანი. | საქართველოს მოკლე ისტორია | ფ. | „ 2 | აბაზ. |
| 3. | ხუნდაძე. | ქართული გრამატიკა | ფ. | „ 3 | „ |
| 4. | მისივე. | მოკლე ქართული გრამატიკა | ფ. | „ 1 | „ |
| 5. | ნიკოლაიშვილი. | მოკლე ქართული გრამატიკა | ფ. | „ 1 | „ |
| 6. | რობაქიძე. | სამშობლოს აღწერა | ფ. | „ 10 | შაური. |
| 7. | „გუთანი“ | ქართული სახელმძღვანელო | ფ. | „ 17 | „ |
| 8. | გერსამია ღვდ. | ლოცვანი | ფ. | „ 2 | „ |
| 9. | დათეშიძე. | ქართული წერის დედანი | ფ. | „ 5 | „ |
| 10. | კიტა აბაშიძე. | ეტიუდები XIX საუკ. ქარ. ლიტ. შესახებ | ფ. | „ 14 | „ |

აქვე იყიდება ყოველგვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი. პროვინციის წიგნის მაღაზიებს ეძლევათ დიდი სალავათი.

გვერდით გამართულია სპეციალური კანცელარიის მაღაზია **დ. ოცხელისა,** სადაც მოიპოება სასწავლო და საკანცელარიო ნივთები ძლიერ იაფათ; ამ ჟამათ აქ მიღებულია მრავალი სავიზიტო ბარათი და კალენდარი 1914 წლისა.

**ადრესი:** Кутаисъ. книжный магазинъ т-ва К. И. Опхели.

**ქუთ. სამხედრო ლაზარეთის კანცელარიაში ამა წლის 28 დეკ. დილის 10 საათზე მოხდება**

**ს ა ჯ ა რ ო ვ ა ჭ რ ო ბ ა**

1914 წლის განმავლობაში სანოვაგის მიწოდების იჯარით გასაცემათ. წლიურათ ლაზარეთს დაახლოებით 25 ათასი მანათის სანოვაგე სჭირდება. პირობის გაცნობა შეიძლება ყოველდღე ლაზარეთის კანცელარიაში, დილის 10 საათიდან 12 ს.

**ა. ი. კოსტავას**
**ევროპიულ მაღაზიაში**
(თფილისის ქუჩა, ქალაქის ათვითაქის გვერდით)
კაცების ახლათ მიღებულ ტანისამოსზე 20-ი ნოემბრიდან 1 იანვრამდი
**დანიშნულია**
**დიდი იაფი ვაჭრობა.**
—✦ ფასები ძლიერ დაკლებულია. ✦—
კოსტიუმები 8—35 მან., შარვლები 4—12 მან., პალტო 10—38 მან.
ფ ა ს ე ბ ი უ ვ ა ჭ რ ო თ.

ხრესილი.
**სამკურნალო აბანო**
მვირფასი მთის აერზე
**ძმ. ყორყოლაძეების**
ექიმის მუდმივი ზედამხედველობით.

შემოწმებულია და გამოირკვა, რომ ეს მადნეული წყალი კურნავს სხვადასხვა სენისაგან, როგორც არის: ქარები (რევმატიზმები) კუჭისა და თავის ტკივილი, ნერვების სისუსტე და სხვ. წყალი ცივი და თფილიც. აქვეა სუფთა ბინა და სასმელსაჭმელი, აბანო მუდმივ განაგრძობს მუშაობას. ხრესილის სადგურიდან დაშორებულია ორმოცდაათი საჟენის მანძილზე.



ქ. ქუთაისში. (საკრებ. ტაძართან).
**ა. თაბაგრის მაღაზიაში.**
მიღებულია დიდძალი საუკეთესო საკერავი, საქსოვი და საწერი მანქანა, გრამაფონები,ველოსიპედები და მათი მოწყობილება. საქონლის სიკარგის პირობას ვიძლევი.
ფასები ძლიერ დაკლებულია.
ვყიდით ნისიათაც თვიური შემოტანით.